სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის შედეგად ექსპერტებმა გავითვალისწინეთ დაწესებულების პოზიციები და არგუმენტები და განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები:

1. ***N3.4.1.1 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით (ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის უზრუნველყოფა)***
2. ***N3.5.1.1 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (შენობის ექსპლუატაციაში მიღება, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის მომზადება)***
3. ***დაწყებით საფეხურზე N2.1.2.1-სა და N2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით გაცემული რჩევა ამოღებული იყო საგნობრივი ექსპერტის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმების საფუძველზე.***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა.
   სკოლის მისიაა -ხელი შეუწყოს ჰუმანური, პატრიოტული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი მოქალაქის აღზრდას; განუვითაროს მოსწავლეებს გარემოსდაცვითი ცნობიერება, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ ახალი ინტელექტუალური და მატერიალური ღირებულებების შექმნის უნარი, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.
   სკოლის ხედვაა - შექმნას სასკოლო საზოგადოების წევრთა თვითაქტუალიზაციის ხელშემწყობი სოციო-კულტურული სივრცე. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება, მოსწავლეთა წარმატება ეროვნულ და რეგიონულ ოლიმპიადებსა და კონკურსებზე და ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველ მოსწავლეთა მაჩვენებლის ზრდა.
   აღნიშნული მისია და ხედვა შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**
   სკოლის მიზანია, ჰუმანური და თავისუფალი მოქალაქის აღზრდა. რისთვისაც სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრთა ხელშემწყობი სოციო-კულტურული სივრცის შექმნა. სკოლა მუდმივად ზრუნავს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას ოლიმპიადებსა და კონკურსებზე, რისთვისაც წინასწარ უქმნის მოტივაციას, გარემოს. სკოლა ახორციელებს ისეთ აქტივობებს, რომელიშიც სასკოლო საზოგადოების, თემის ჩართულობა გათვალისწინებულია და აქტიურად მონაწილეობენ კიდეც. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,

როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი ბრძანება N2-15 (04.03.2025) ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა აღწერილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (05/03/2025წ), ოქმი N2 (11/03/2025წ), ოქმი N3 (17/03/2025). აღნიშნულ ოქმებში განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1.სსიპ რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები; 2.მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება; 2025-2026 სასწავლო წლების ერთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავება. ბოლო სხდომის ოქმით გადაწყვეტილებით მომზადებული დოკუმენტაცია წარედგინა სკოლის დირექტორს. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმის დანართი, სადაც სასკოლო საზოგადოების (სკოლის თნამშრომლების, მშობლების, მოსწავლეების) გამოკითხვის შედეგების ანალიზი იყო წარმოდგენილი. აღნიშნულ ოქმებით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დირექტორმა პედაგოგიურ საბჭოს წარუდგინა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც განხილული იყო 2025 წლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმი N2, 19/03.2025წ). ხოლო 2025 წლის 21 მარტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვის დროს იყო გაცნობილი სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებეი გამოკრულია სკოლის ფოიეში და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 და 2021 წლის 13 აგვისტოს N69/ნ ბრძანებების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სამუშაო ჯგუფი შექმნის ბრძანება N2-15 (04.03.2025);
- ✓ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (05/03/2025წ), ოქმი N2 (11/03/2025წ), ოქმი N3 (17/03/2025წ.);
- ✓ პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმი N2, 19/03.2025წ;
- ✓ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 21/03/2025წ.;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანება;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 აგვისტოს N69/ნ ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სსიპ-რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ, 2025 წლის 06 თებერვალს ბრძანება N 2-05-ით დამტკიცებულია „სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესებს (მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი, სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი).

   აღნიშნულ დოკუმენტში სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი) და სამეურვეო საბჭო. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გაზიარების საშუალებები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 21 მარტის სხდომაზე N 2 ოქმით. გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და განკუთვნილია 2025-2032 წლებისთვის. გეგმა შემუშავებულია სკოლის ფილოსოფიაზე დაფუძნებით. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი და მიზნის მისაღწევი ამოცანები.

   სტრატეგიული მიზნებია: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 3. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; 5. ორგანიზაციული განვითარება.

   ხუთივე მიზანია შესაბამისობამისია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო განვითარების გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 21 მარტს ოქმი N2. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, მასში წარმოდგენილია ხუთივე სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზები და ეფუძნება თვითშეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების ვადები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, ბრძანება N 2-05, 06/02/2025.
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032. (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (21/03/2025);
- ✓ სამოქმედო გეგმა 2025-2026. (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (21/03/2025)).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში აღნიშნულ საკითხს ეთმობა **თავი 12. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და**

შეფასება, სდაც ცალ-ცალკეა მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“- ბრძანება N2-05 (06/02/2025წ.)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საშტატო განრიგის შესაბამისად (შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახლგზრდობის სამინისტროსთან 2025 წლის 11თებერვლის წერილი N132946, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 14 თებერვლის N2-09 ბრძანებით). სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, ხოლო მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით. სამუშაო აღწერილობა, აგრეთვე, განსაზღვრულია დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.
   სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; დისციპლინური კომიტეტი; მოსწავლეთა თვითმმართველობა; მრჩეველთა საბჭო. სკოლაში ასევე არის საგნობრივი კათედრები, რომელთა ფუნქციები გაწერილია კათედრის დებულებაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის მიერ შემუშავებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში

(ბრძანება N2-31, 24/03/2025წ.) თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქციები არის გაწერილი, სადაც მითითებულია, რა დოკუმენტებითა თუ დებეულებებით უნდა იხელმძღვანელოს სკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის. შრომით ხელშეკრულებებში ასევე ასახულია მათი ფუნქციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრუქტურა
- ✓ საშტატო განრიგი (ბრძანება N2-09, 14/02/2025წ.);
- ✓ Eschool-იდან ამონაწერი;
- ✓ თანამშრომელთა პირდი საქმეები;
- ✓ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ თანამდებობრივი ინსტრუქციები, ბრძანება N2-31, 24/03/2025წ.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N2, 12/03/2025წ.) დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის მიერ შემუშვებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესებს. სკოლის დირექციასთან გასააუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარმართვისათვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

   რჩევა:

   პრევენციული მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის დამატებით შესაძლებელია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თავი 9. სამუშაო აღწერილობას დაემატოს პუნქტი რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმებული პირის არ ყოფნის, ან არ არსებობის შემთხვევაში რომელ პოზიციას შეიძლება დაეკისროს მისი ფუნქციები, რაც აავტომატურად თანამდებობრივ ინსტრუქციებშიც გააჩენს შესაბამის ჩანაწერს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. სკოლის დირექცოასთან გასაუბრებიათ და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა კადრების დასაქმების მიზნით უზრუნველყოფს ობიექტურობასა დაა გამჭვირვალობას. სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია (ბრძანება N2-07, 04/04/2023წ.) ვაკანტური ადგილის დაასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი. 2023 წლის 18 აპრილს ბრძანება N2-09 საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსიის გაამოქვეყნება საჯაროდ teachersjobs.ge ასევე 2023 წლის 4 და 5 მაისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რის სფუძველზეც მოხდა სკოლის ექიმის პოზიციაზე კანდიდატის დასაქმება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 34 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, 24 მასწავლებელი (მათ შორის 1 სპეციალური მასწავლებელი), საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი და ცეცხლფარეში. თანამდებობრივი ინსტრუქციები აღწერს თითოეული დასაქმებულის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 21- უფროსი, 1-წამყვანი, 2 -მენტორი მასწავლებელი. ექიმის (პედიატრი) კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირად საქმეში განთავსებულია CV, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, სერტიფიკატები და კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ორგანიზაციული კულტურა, სკოლის გაცხადებული ღირებულებები მოიცავს გუნდური მუშაობას. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სკოლის სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო) მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას ნათლად იკვეთებოდა თაანამშრომლობითი აქტივობები, ერთობლივი მუშაობა საგნობრივ კურიკულუმებზე, საავტორიზაციო განაცხადზე მუშაობის დროს ყველა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი განსაზღვრავს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმებს. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია წახალისების შემდეგი ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება მადლობის გამოცხადება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და ასევე სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდზე (მადლობა იყო გამოცხაადებული ფიზიკის, გეოგრაფიის, ქართულის, ისტორიის, სპორტის, ბიოლოგიის, დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2, 12/03/2025);
- ✓ თანანმდებობრივი ინსტრუქციები (ბრძანება N2-31, 24/03/2025);
- ✓ ვაკანტური ადგილის დაასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი(ბრძანება N2-07, 04/04/2023წ.);
- ✓ საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებაN2-09, 18/04/2023წ.;
- ✓ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები(3/05/2023წ; 4/05/2023წ);
- ✓ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 12/01/2025წ;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები
- ✓ პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 მარტს, დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში. პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზნით სკოლა გეგმავს შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასების წარმოებას. შეფასების მიზანი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებაა. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება დაგეგმავს და განახორციელებს

პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების მეთოდებად სკოლა განსაზღვრავს პერსონალის მიერ თვითშეფასებას, გაკვეთილზე დაკვირვებას (მასწავლებლის შემთხვევაში), გასაუბრებას და უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის დამკვიდრებული პრაქტიკაა „კრიტიკული მეგობარი“ - მასწავლებელთა ურთიერთდასწრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. 2025 წლის თებერვალში სკოლის დირექტორმა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა გაიარეს ტრენინგი შენობის ენერგოეფექტურობის შესახებ. დირექტორმა გაიარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგ-მოდული „სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა“, „სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმი“, „ხარისხის მექანიზმები სკოლაში“. სკოლის მასწავლებლები გადიოდნენ სავალდებულო ყოველწლიურ ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში. ბუღალტერმა გაიარა სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგები „ხაზინის ელექტრონული პროგრამა საჯარო სკოლებისათვის“, „ფინანსური ანგარიშგების ფორმები და მათი შევსების წესი“, უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელმა პირმა გაიარა შესაბამისი ტრენინგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მასწავლებლებს აქვთ სრული მხარდჭერა სტატუსის გაუმჯობესების პროცესში. 2024 წელს სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა მოიპოვა მენტორი მასწავლებლის სტატუსი. ასევე გასულ წლებში სტატუსი აიმაღლა 2 -მა მასწავლებელმა, (1 მენტორი,1 წამყვანი.)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალ თანამშრომელს სკოლის დირექტორი წარადგენს სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ, აწვდის ინფორმაციას სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და შიდა რეგულაციების შესახებ, აცნობს დაკისრებულ ფუნქციებს და სკოლის ინფრასტრუქტურას. თანამშრომლების ინტეგრაციის წესი განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   სკოლა წაახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს და ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში. სკოლის პედაგოგი ჩართულია eTwinning პროგრამაში, ასევე ნიკო კეცხოველის პრემია 2025-ში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 , 12/03/2025წ.);
- ✓ პროფესიული განვითარება- სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N2-24 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ასევე გაწერილია პროცესის ნაწილები, პროცესში მონაწილე პირები/სრუქტურები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები რის საფუძველზეც სკოლში უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმება/მონიტორინგი და გაიცეს შესაბამისი დასკვნ/რეკომენდაციები. აღნიშნულ დიკუმენტში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომელიც გულისხმობს პროცესების/კურიკულუმების, სამოქმედო გეგმის რისკების განსაზღვრას და შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემს, ხოლო შემდეგ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს, ახორციელებს, მონიტორინგს უწევს და აფასებს საკუთარ საქმიანობას, ხოლო შედეგების გათვალისწინებთ გეგმავს საქმიანობის მომდევნო ციკლს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**
   ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის განვიატრება და მართვა; განათლებოს მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლეათა სერვისების განხორციელება. დამხმარე პროცესები: საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსების მართვა; უსაფრთხოების

უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; პირველადი სამედიცინო დახმრების აღმოჩენა. სკოლამ შეიმუშავა აღნიშნული პროცესების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც თითოეული განსაზღვრული პროცესის შესაბამისად გაწერილია: პროცესის მიზანი და შედეგი, ქვეპროცესები, პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულები/პირები, პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, პროცესის დიაგრამა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N2-17 ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. გასაჩივრების წესში განხილულია საჩივრის /განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, ვადები, დისციპლინალური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები. სისტემაში წარმოდგენილია ასევე დაინტერესებეული პირისა და გასაჩივრებული აქტის /გადაწყვეტილების გამომტანი პირის, ორგანოს მონაწილეობა საჩივრის განხილვის დროს, მოცემულია საჩივრის განხილვის ვადა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დასაცავად მოქმედებს დირექტორის 2025წლის 17 მარტის N2-16 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ასევე დასაქმებულთა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში(დამტკიცებულია 2023 წლის 7 სექტემბრის სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმით) მუხლი 12-21, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფრლ მაწილს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძანება N2-24, 18/03/2025წ.);
- ✓მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი
- ✓გასაჩივრების წესი (ბრძანება N2-16, 17/03/2025წ.);
- ✓მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა (ბრძანება N2-17, 17/03/2025წ.);
- ✓სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**
   სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს პირისპირ, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებსა და მშობელთა კრებებზე. სატელეფონო ზარით, მესინჯერ ჯგუფებში, ელექტრონულ ჟურნალის საშუალებით. სასკოლო საზოგადოების ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 1 აპრილის N2-34 ბრძნებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**
   სკოლის სტრუქტურული ერთეულებია სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. მათში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელთა ჩართულობით შემუშავდება დაა პედაგოგიური საბჭოს მიერ მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმა. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო

საბჭოსას და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განიხილება სკოლის ფილოსოფია და განვითარების გეგმები. მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთანდაკავშირებით, იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათი უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან. სკოლის სამეურვეო საბჭო ითანხმებს სსგ-ს, ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს, დისციპლინურ კომიტეტს, სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სსგ-ს, შერჩეულ სახელმძღვანელოებს იღებს გადაწყვეტილებებს სსწავლო პროცესის შინაარსთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭო ჩართულია უსაფრთხოების უზრუველყოფის სკითხებზე და გასცემს რეკომენდაციებს აღნიშნულთან დაკავშირებით, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-34, 01/04/2025წ.);
- ✓ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6, 06/09/2024წ.;
- ✓ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5, 05/09/2024წ.;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1, 15/10/2024წ.;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1, 31/10/2024წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მორიგეები, დირექტორის მოადგილე აკონტროლებს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრებას. დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის პერიოდში სისტემატიურად აწარმოებს მონიტორინგს სკოლის ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრზე. ამასთანავე, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე.

   სკოლას აქვს 4 შესასვლელი, თუმცა, რეგულარულად ერთი არის ღია, რომელიც კონტროლდება, წარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება სრულად. ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, რომელიც მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული და სერტიფიცირებულია. სკოლის შენობაში ვიდეო-კამერები არ არის დამონტაჟებული კიბის უჯრედებში, რაც ბრმა ზონებს ქმნის. შესაბამისად, სკოლის სივრცეები სრულად არ კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო სივრცეების ნაწილობრივი კონტროლი ხელს უშლის უსაფრთხოების უზრუნველყოფას კიბის უჯრედებში ორივე ფლიგელის ორივე სართულზე.

ამ ეტაპზე,

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რითაც სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელებას გეგმავს 2026 წლის 01 ივლისამდე. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული წერილები (MES 0 25 0000794567, 01/07/2025; MES 7 25 0000892510, 21/07/2025), რითაც დასტურდება, სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციებიც. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. ექიმი დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში და უზრუნველყოფს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგს.
სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა მომზადებულია სსიპ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ (წერილი N5002037025, 14/04/2025წ), რითაც დასტურდება შენობის მდგრადობა და ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოობა.
სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ, რადგან შენობა რეაბილიტირებულია, თუმცა არ არის სკოლისათვის ჩაბარებული. ამიტომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რითაც სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელებას გეგმავს 2026 წლის 01 ივლისამდე.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.
რეკომენდაცია:
1. სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2027 წლის 01 ივლისამდე) სკოლის სივრცეები სრულად უზრუნველყოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით;

2.სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 01 ივლისამდე) მიმართოს უფლებამოსილ უწყებას:
- ✓ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ*
- ✓ *შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი და მოწყობილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების N41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ექიმი (პედიატრი) აწარმოებს მიმართვიანობის აღრიცხვას, შევსებული აქვს სასწრაფოს გამოძახების შემთხვევაში შესაბამისი ბლანკი, რომელიც ხელმოწერილი მშობლის მიერ. აწარმოებს მოსწავლეთა ბაზას, სადაც გაწერილი აქვს მოსწავლეთა სჭიროებები და რაც არ არის უცხო პირთათვის ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად.

საშტატო განრიგით ჰყავს 2 დარაჯი. სკოლას დირექტორის 2019 წლის 21 იანვრის N2-01 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელშიც 2024 წლის 17 ივნისს N2-176 შევიდა ცვლილება სხვა პირის დანიშვნის გამო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნავს სკოლის თითოეული თანამშრომელი. კლასის დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა თავისებურებების გათვალისწინებით, აქტივობები, კლასის საათის თემები, რომლებიც მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისაკენ არის მიმართული. ეს ეხება ბულინგს, ძალადობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პიროვნული განვითარებას, შემოქმედებითი და თავისუფალი ზროვნების განვითრებას.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების“ შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

   სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი. სველ წერტილებში გამოკრულია სანიტარული კვანძების დსუფთავების განრიგი, რაზეც სკოლის ექიმი აწარმოებს მონიტორინგს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N 2-19 ბრძანებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N1/კ-33 ბრძანებით განსაზღვრულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა, მნიშვნელობა, კონფიდენციალურობა. თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები სათანადოდ დაცულია საქმისმწარმოებელთან კანცელარიაში. სკოლის დირექციამ განმარტა, რომ მშობლებისაგან აქვთ აღებული თანხმობა სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალას სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

   სკოლაში არსებული ინფორმაცია (სასკოლო დოკუმენტაცია, დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მასალები და სხვ.) ინახება დაცულად სკოლის კანცელარიაში ჩაკეტილ კარადებში. საქმისმწარმოებელი აწარმოებს აღრიცხვას მოსწავლეთა პირადი საქმეების დამრიგებლისთვის გადაცემას და დამუშავებას. ასევე მასწავლებელებთან და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის კომპიუტერები უზრუნველყოფილია ანტივირუსებით, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. სკოლის დირექცია მიმართავს თანამშრომლებს, რომ უზრუნველყონ სკოლის კომპიუტერში საკუთარი ფოსტით, სასკოლო ჟურნალით სარგებლობის შემდეგ გამოვიდნენ საკუთარი ექაუნთებიდან, არ დატოვონ ღია, რათა გამოჩენილი იქნას მაქსიმალური სიფრთხილე და არ მოხდეს სკოლის ინფორმაციის უკანონოდ გადინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**
   სკოლაში მოქმედებს მრჩევლთა საბჭო, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ ხდება მრჩეველთა საბჭოს შეხვედრები, რომელიც ზრუნავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე და მათ მიერ ხდება არსებული მექანიზმების პერიოდული შეფასება. ოქმებში წარმოდგენილია მრჩევეთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელიც გამოიყენება ამ მექანიზმების გასაუმჯობესებლად.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მდგრადობის დასკვნა (სასამრთლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 14 აპრილის დასკვნა N5002037025);
- ✓ ექიმის პირადი საქმე
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (ბრძანება N2-19, 17/03/2025წ.);
- ✓ პერსონლურ მონაცემთა ოფიცრის ფუნქციების დაკისრება საგანმანთლებლო რესურსცენტრის თანამშრომლისათვის (ბრძანება N1/კ-33, 24/03/2025წ.);
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება N2-21, 18/03/2025წ.);
- ✓ შესაბამისობის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლა განთავსებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, 47199.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო ტიპის ნაკვეთზე. სკოლის შენობა არის ორსართულიანი 744კვ.მ. ფართით. კეთილმოწყობილი და განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლაში არის 16 ოთახი (ისტ ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს-ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, დირექციის ოთახი), სპორტული დარბაზი, სამკითხველო სივრცეები, სამასწავლებლო სივრცე და ღია სპორტული მოედანი. 2024 წლის დეკემბერში ჩატარებული ინვენტარიზციის შედეგების მიხედვით სკოლაში არის შემდეგი მატერიალური რესურსი: 294 ცალი ინდივიდუალური მერხი საფეხურების მიხედვით; ლაბორატორიის 82 მერხი; 28 დაფა. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობისათვის საგანმნათლებლო საქმიანობას.
   მიუხედავად იმისა, რომ სკოლა კეთილმოწყობილია, საკმარისია ოთახები (საკლასო, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და ა.შ), რეაბილიტაციის შემდეგ გადაკეთებულია სასკოლო სივრცეები და არ არის შესაბამისობაში შენობის ძველ ნახაზთან. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ შენობა არ არის ჩაბარებული (მიღება ჩაბარების აქტი, ნახაზი არ არის წარმოდგენილი) შესაბამისად, ახალი ამონაწერის წარმოდგენა საჯარო რეესტრიდან ვერ მოხერხდა ვიზიტის პროცესში. *სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაგეგმილია აქვს 2026 წლის 01 ივლისამდე.*

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 01 ივლისამდე) მიმართოს უფლებამოსილ უწყებას სკოლის შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით და განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში, ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ შემდეგი სივრცით: კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, სკოლის ეზოში მოწყობილი აქტივობების სივრცეებით. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზით. სკოლაში მოქმედებს, როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ბიბლიოთეკა. მისით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს არსებული რესურსი. ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ მოსწავლეებს დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, რესურსითა და მედიკამენტით. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-18, 17/03/2025წ.), რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. დირექტორის მიერ 2025 წლის 2 აპრილის N2-35 ბრძანებით დამტკიცდა ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს -22 223 წიგნს, მათ შორის არის როგორც სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. სკოლას აქვს წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალი. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით და ჟურნალში არსებული ჩანაწერებით დგინდება, რომ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც სარგებლობენ წიგნადი ფონდით, უფრო ხშირად სამკითხველო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელი ორივე სართულზე გადაადგილება და ასევე სპორტულ დარბაზში

ჩასვლა. ასევე სკოლას აქვს შენობის პირველ სართულზე კეთილმოწყობილი და რესურსებით უზრუნველყოფილი რესურს-ოთახი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია, შენობაში, ორივე სართულზე არის დიდი, ნათელი დერეფნები, რომელიც გამოიყენება საგამოფენოდ და ღონისძიებების ორგანიზებისათვის. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი და გამწვანებული ეზო. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-18, 17/03/2025წ.)
- ✓ ბიბლიოთეკის დებულება (ბრძანება N2-35, 2/04/2025წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულფასოვან წარმართვას. დირექციაში, ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში, ლაბორატორიაში, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელის პირის ოთახში განთავსებულია კომპიუტერები პრინტერები და სვხა ტექნიკა. კერძოდ, სკოლას აქვს 64 ლეპტოპი, 22 კომპიუტერი, 4 პროექტორი, 3 მულტიფუნქციური პრონტერი. კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერები და ლეპტოპები, რის გამოყენებაც სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლის ადმინისტრაცია გამართულ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას იყენებს ეფექტურად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში, სკოლის შენობის მეორე სართულზე. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(ბრძანება N 2-18, 17/03/2025წ.), რომელშიც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი (ბრძანება N 2-18, 17/03/2025წ.);

- ✓ 2024 წლის დეკემბრის ინვენტარიზაციის ოქმი.
- ✓ რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/მიღება-ჩაბარების აქტი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N2-23 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წესი ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას სკოლაში მოქმედი საქმის წარმოების წესის შესაბამისად. სკოლაში წარმოებს დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები: საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (EFLOW) სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის ბრძანებები, ცნობები რეგისტრირდება საქმისმწარმოებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში.
   eSchool-ის სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაცია, დასაქმებული პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია. eSchool-ის გამოყენებით ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრისთან საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება.

სკოლის თანამშრომლები სარგებლობენ Microsoft Teams ელ. ფოსტით, ღრუბლოვანი საცავებით, საქმიანი კომუნიკაციისათვის გამოიყენება MS Teams პროგრამასა და სხვა სოციალურ ქსელში შექმნილი დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

   სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინფორმაცია თანამშრომლების, მოსწავლეების, კლასების, საგნების, საგაკვეთილო ცხრილის, ექსტერნის გამოცდების შესახებ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლის მიერ შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება განსაზღვრული/მოთხოვნილი ვადების დაცვით. დოკუმენტბრუნვის სისტემაში არსებული წერილების/მიმოწერის სააფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებსა და თანამშრომლობს მათთან.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საქმიწარმოების წესი (ბრძანება N2-23, 18/03/2025წ.);
- ✓ eSchool-ის სიტემის გვერდი;
- ✓ EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/schools, რომელიც გამოიყენება საზოგადოების ინფორმირებისათვის. სკოლა იყენებს ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის სკოლის ელ.ფოსტას khashmi@mes.gov.ge და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდს https://www.facebook.com/revaz.inanishvilis.sakhelobis.sopel.reva .
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა ავრცელებს მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციას საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით. სკოლას ჰყავს ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ ყველა გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც იდება სოციალურ ქსელში სკოლის საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარი და სანდოა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი სკოლის მიერ გამოიყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის მიერ ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება, გადამოწმება და შესაბამისი რეაგირება. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლაში სწავლების ენა ქართულია. სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ გვერდზე ინფორმაცია იდება მხოლოდ ქართულ ენაზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია: სკოლის სახელწოდება; მისამრთი; მოსწავლეთა რაოდენობა; მელექტრონული ფოსტის მისამართი; საკონტაქტო ინფორმაცია; მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამების სახელწოდებები (დაწყებითი, საბზო, საშუალო); ჩარიცხვის პროცედურები და წესი; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ https://skolebi.emis.ge/schools
- ✓ https://www.facebook.com/revaz.inanishvilis.sakhelobis.sopel.reva

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი დაფინანსება. სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას; აგრეთვე, მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების (4 მოსწავლე) რაოდენობით განისაზღვრება.
2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
   სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს როგორც განხორციელებული სქმიანობის, ასევე ფინანსური საქმიანობის შესახებ. კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი ბუღალტერთან ერთად, წინა წლების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს (ოქმი N11, 9/12/2024წ.).
   სკოლაში ყოველწლიურად, კალენდრული წლის ბოლოს, ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია (კომისიის შექმნის ბრძანება N2-50, 16/12/2024), რის საფუძველზეც დგება ინვენტარიზაციის შედეგების აქტი (აქტი N1, 31/12/2024წ).
   სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე.

სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემით. სისტემა თავადვე აკეთებს მიმდინარე ოპერაციების მონიტორინგს და ხარვეზის შემთხვევაში სკოლა იღებს შესაბამის უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის ბიუჯეტი
- ✓ ფინაანსური ანგარიში 2024წლის;
- ✓ 2025 წლის ბიუჯეტი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი N11, 9/12/2024წ.
- ✓ ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის ბრძანება N2-50, 16/12/2024;
- ✓ ინვენტარიზაციის შედეგების აქტი N1, 31/12/2024წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა.

   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფად სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შიდა რეგულაციები: მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი (ბრძანება N 2-17, 17/03/2025წ.); განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება N 2-16, 17/03/2025წ.). დოკუმენტებში აღწერილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და გაწერილია უფლებების დარღვევის შემთხვევაში საჩივრის განხილვის წესი. საჩივარს განიხილავს უფლებამოსილი პირი/ორგანო, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. საჩივრის განხილვის ვადაა ერთი თვე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა. მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომელზეც უფლებამოსილი პირი მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს და მოსწავლეთა უფლებებს. შესაბამისი დოკუმენტები

განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და გამოკრულია სკოლის შენობაში, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე. დოკუმენტების დამტკიცების შემდეგ მოსწავლეებს, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მიეწოდათ ინფორმაცია დამრიგებლების მიერ საკუთარი უფლებებისა და საჩივრის განხილვის წესის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, ბრძანება N 2-17, 17/03/2025წ.;
- ✓ განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, ბრძანება N 2-16, 17/03/2025წ.;
- ✓ სკოლების პორტალი
- ✓ მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურისს დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობასთან შესაბამისი „მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი "ბრძანება N 2-27, 19/03/2025წ., ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის წესები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესებს. პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციის შესაბამისად. ექსპერტების მიერ გადმოწმებული იყო ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სტატუსის შეჩერების, მობილობის, სფეხურის დძლევის ბრძანებები და eSchool-ის სისტემაში განხორციელებული ქმედებები. ყველა აქტივობის შემთხვევაში დაცული იყო ვადები, საფუძვლები. სტატუსის შეჩერების ბოლო ექვსი ფაქტის შესწავლისას დადგინდა, რომ იყო მოსწავლის საქართველოს საზღვრებს გარეთ გადსვლა საცხოვრებლად, რაც მშობლის განცხადების საფუძველზე მოხდა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის პორტალზე, ასევე სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა დროულად უზიარებს ინფორმაციას დაგეგმილი თუ ჩატარებული აქტივობების შესახებ სასკოლო საზოგადოებას. სკოლა ზრუნავს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სკოლის მიერ ან სკოლის პერსონალის მიერ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, ბრძანება N 2-27, 19/03/2025წ.;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა (სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 05/09/2024წ., პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6 , 06/09/2024წ.);
- ✓ სკოლების პორტალი
- ✓ დირექტორის ბრძანებები ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2025 წლის 19 მარტის N2-28 ბრძანებით „მოსწავლის ადაპტაციის წესი“, რაც მოიცავს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს. დამტკიცებულია წესში გაწერილია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და აგრეთვე, დეზადაპტაციის ნიშნები და საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი აქტივობები. ადაპტაციის მექანიზმები გათვალისწინებულია პირველკლასელთათვის, სსსმ მოსწავლეთათვის, მობილობით ჩარიცხული მოსწავლისათვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

   სასწავლო გარემოსთან წარმატებული ადაპტაციის ხელშეწყობისათვის ახლად გადმოსულ მოსწავლეს ხვდება კლასის დამრიგებელი, რომელიც წარადგენს მას კლასთან და პედაგოგებთან. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად სასწავლო წლის პირველ დღეს ეწყობა საზეიმო ღონისძიებები, რაც განსაზღვრულია მოსწავლის ადაპტაციის წესში და ასევე სადმრიგებლო პროგრამებში. სასკოლო საზოგადოება ზრუნავს მოსწავლეებისათვის კეთილმოწყობილი სასკოლო გარემოს შექმნზე, რაც თავის მხრივ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადაპტაციის ხელშეწყობისათვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

   მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და რემედიაციის განხორციელების წესი (ბრძანება N 2-30, 20/03/2025წ.). იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის წლიური შეფასება იქნება 5.0 ქულაზე ნაკლები სკოლა ჩართავს მას რემედიაციის პროგრამაში და უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო მხარდაჭერას მასზე მორგებული სასწავლო პროგრამისა და მეთოდების შეთავაზებით. ასევე ექსტერნების გამოცდების შემტხვევში გთვალისწინებულია საგნების შესბამისი კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეტა მხარდაჭერას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე იღებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (სემესტრული გამოცდა, სკოლაში ჩარიცხვა, მობილობა, სსსმ მოსწავლის შეფასება, ცნობის გაცემა და სხვ.). სკოლა ყურადღებას აქცევს, რომ პროცესები წარიმართოს კანონმდებლობის დაცვით და დროულად, რათა არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოქმედებს თეატრალური კლუბი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კლუბის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა წარმოდგენებსა და ღონისძიებებში, აგრეთვე წარმატებით ასპარეზობენ რაიონულ თეატრალურ კონკურსებში, სადაც ხშირად აღწევენ გამორჩეულ შედეგებს.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ეკო-კლუბი, რომლის საქმიანობაც უკავშირდება გარემოსდაცვით ცნობიერებას და მდგრადი განვითარების პრინციპების პოპულარიზაციას. ეკო-კლუბის წევრები ჩართულნი არიან ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის პროგრამაში და იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ეკო-პროექტებში.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში და მათ ინიციატივებს. წახალისებულია მოსწავლეთა იდეები და პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებას - მათ ეძლევათ შესაძლებლობა, თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები გააცნონ როგორც მასწავლებლებსა და დამრიგებლებს, ისე სკოლის ადმინისტრაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს იღებს მუდმივად და ითვალისწინებს მას საქმიანობის გასაუმჯობესებლად. დაინტერესებულ პირებს თავიანთი მოსაზრებებისა და სურვილების დაფიქსირება შეუძლიათ სკოლის დირექციასთან. უკუკავშირის მიღების მექანიზმებია ინდივიდუალური შეხვედრა, დისტანციური კომუნიკაცია, მშობელთა კრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მოსწავლის ადაპტაციის წესი, ბრძანება N2-28, 19/03/2025წ.;

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა (სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 05/09/2024წ., პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6, 06/09/2024წ.);
- ✓ რემედიაციის წესი, ბრძანება N 2-30, 20/03/2025წ.;
- ✓ ინიციატივების განხილვის წესი, ბრძანება N 2-29, 20/03/2025წ.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   სკოლაში IX და XI კლასებისთვის, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე მოქალაქეობის საგაკვეთილო კურსის ფარგლებში, განხილულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა - პროფესიის არჩევა. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები ამ საკითხს ინტერესით უდგებიან, მსჯელობენ კარიერის დაგეგმვის პროცესზე, განიხილავენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული პროფესიის არჩევისას - ინდივიდუალური ინტერესები, უნარები, შრომის ბაზარზე მოთხოვნა და სხვა. მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული მიმართულების შესახებ და ეცნობიან კონკრეტული სფეროების თავისებურებებს.
   სკოლა იწვევს სტუმრებს და აღსანიშნავია, რომ მოწვეული სტუმრები თავად მოსწავლეთა მშობლები არიან. განსაკუთრებულად სკოლის მხრიდან აღინიშნა XI კლასის მოსწავლეთა ვიზიტი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, რომელიც განხორციელდა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის ინიციატივითა და თანადგომით. მოსწავლეებმა ახლოს გაიცნეს სამხედრო პროფესიის სპეციფიკა, გაეცნენ ჯარისკაცთა ყოველდღიურ საქმიანობას და იმ გარემოს, სადაც ისინი მსახურობენ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**
   სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმააციას შემდგომ კარიერულ განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე და წერილობითი შეტყობინებების გაგზავნით. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებსა მიეწოდებათ

ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების, ამ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების წინაპირობების შესახებ. სკოლა აწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლისა და უმაღლესი სასწავლებლის ღია კარის დღეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს აღნიშნული აქტივობების შემდეგ სთავაზობენ პატარა კითხვარს, სადაც მათ საშუალება აქვთ, დააფიქსირონ საკუთარი შთაბეჭდილება და ემოცია განხორციელებულ აქტივობებთან მიმართებით. სკოლა გეგმავს 2025-2026 წლისათვის შეიმუშაოს შეფასების მექანიზმი გაწეული მომსახურების შესაფასებლად და შეფასების შედეგები გამოიყენოს მომსახურების გასაუმჯობესებლად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 19 მარტის N2-26 ბრძანებით დამტკიცებული - ინკლუზიური განათლების პროგრამა. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის გეგმაში განმარტებულია ინკლუზიურ განათლების არსი და დანიშნულება და სევე განმარტებულია, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებას.
სკოლის მიერ დამტკიცებულ ინკლუზიური განათლების პროგრამაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**
2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მქონე 4 (ოთხი) მოსწავლე. მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნების საფუძველზე თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელსაც შემუშავებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის (17/09/2025წ., ბრძანება N2-34, N2-35, N2-36) მიერ. ჯგუფში გაერთიანებულია კლასის დამრიგებელი, კლასის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი, მშობელი, რომლებიც იკრიბებიან პერიოდულად მოსწავლის პროგრესისა და საჭიროებების გასახილველად. ჯგუფის მუშაობა ფორმდება ოქმების სახით. თითოეული მასწავლებელი, სემესტრის ბოლოს წერს სსსმ მოსწავლის პროგრესის შეფასებას ისგ მიზნებთან მიმართებით და წარუდგენს მას მოსწავლის მშობელს, დირექტორსა და პედაგოგიურ საბჭოს (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). ასევე სკოლაში 2025 წლის 19 ივნისს დირექტორის N2-62 ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ინკლუზიური განათლების პროგრამა (ბრძანება N 2-26, 19/03/2025წ.);
- ✓ მოსწავლეთა პირადი საქმეები
- ✓ ისგ ჯგუფების ბრძანება N2-34, N2-35, N2-36, 17/09/2025წ.;
- ✓ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი (ბრძანება N2-62, 19/06/2025წ.);
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლების ტრაანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შპს-ბინუ ტენდერში გამარჯვებული კომპანია (CON240000366). სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტამდე გადაადგილების პროცესს და წარმომადგენელტან ერთად ტრანსპორტის ტაბელის წარმოებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ ამ დროისათვის არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გარდა ტრანსპორტირების სერვისისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   მოსწავლეთა ტრანსპორტირების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და აღნიშნულზე პასუხისმგებელია ტენდერში გამრჯვებული კომპნია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ტრანსპორტირების ტაბელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის 2-25 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტის შესაბამისად, კურიკუმუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებულ მონაცემთა საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის 2-25 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტის თანხმად, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ მათთვის სასურველი მეორე უცხო ენა, მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე ეძლევათ შესაძლებლობა აირჩიონ არჩევითი საგნები. ინტერვიურების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენამდე ხდება გასაუბრება მშობლებთან, სხვა კათედრის

წარმომადგენლებთან, ასევე გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების სფეროების, რის საფუძველზეც ხდება საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. კათედრაზე ერთობლივი მუშაობით ხდება კურიკულუმებში თემების შერჩევა, სადაც კურკულუმის ჩარჩოს ცალკეულ სვეტებში ასახულია კურიკულუმის შემუშავების შესაბამისი მასალა. წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით დგინდება, რომ მასწავლებლების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა განსახილველად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების/განხილვის, დამტკიცების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი კურიკულუმები ერთობლივადაა შექმნილი საგნობრივ კათედრაზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, თემები, აქტივობები, საკითხები, ქვეცნებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები მაქსიმუმამდე იყოს ასახული. პედაგოგებთან განხორციელებული გასაუბრებით დგინდება, რომ მაღალია მშობელთა ინტერესი და ჩართულობა. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. ასევე, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, სადაც მუდმივად ხდება ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება - https://www.facebook.com/revaz.inanishvilis.sakhelobis.sopel.reva.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის 2-25 ბრძანება;

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
3. შემუშავებული კურიკულუმები;
4. სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 5 სექტემბრის N5 ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის N6 ოქმი;
6. https://www.facebook.com/revaz.inanishvilis.sakhelobis.sopel.reva

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი, სამივე საფეხურზე არის სტანდარტზე მორგებულია და მისი შინაარსის გათვალისწინებით დაგეგმილი, რაც უზრუნველყოფს მის მოსწავლეზე ორიენტირებულობას. შესაბამისად, ის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოსწავლეზე ორიენტირებულობა ასევე გამოიკვეთა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, როდესაც ისინი ასახელებენ კურიკულუმში ცვლილების მიზეზებად იმას თუ რა გაუჭირდათ მოსწავლეებს, რა გაიგეს უკეთ, მათ ინტერესებს და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებებში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება, წარმოდგენილი კურიკულუმები, მოწოდებული დოკუმენტაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი საგნების კურიკულუმები, მოწოდებული დოკუმენტაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

	რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უფრო მეტი სამიზნე ცნების დამუშავდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმი აგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე. ის მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. საგანმანათლებლო შინაარსი მორგებულია თემის კონტექსტზე და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას იმუშაონ რეალურ საკითხებზე პროექტულად, გუნდურად და შემოქმედებითად. მოსწავლეები, შეისწავლიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის ფარგლებში კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
მათემატიკა	კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; კათედრის N1 ოქმში ერთ-ერთ მთავარ საკითხად კურიკულუმების შემუშავება აქვს სკოლას გამოტანილი, სადაც ხაზგასმულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებს და აქტივობებს შეიმუშავებენ წინა სასწავლო წლის კურიკულუმების რევიზიის საფუძველსა და შედეგებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების/მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა/მასწავლებელმა გამოხატეს კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული ჰქონდათ ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. ისინი აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებენ გამოწვევებს და აფასებენ მიღებულ დადებით შედეგებს. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს და სწავლება ეფუძნება მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილია გრძელვადიანი მიზანი. სასწავლო შედეგი კი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. ***რჩევა:*** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. სასურველია, ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. კურიკულუმები დაიგეგმოს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, განსაკუთრებით არაგრიფირებული (III- IV კლასების) სახელმძღვანელოების გამოყენებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის, საბუნებისმეტყველო საგნების თითოეული კლასისთვის განკუთვნილი კურიკულუმი მიემართება ესგ- ში გაწერილ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად ისეა შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომ იძლევა საშულებას დამუშავდეს თითოეული თემის სწავლების დროს სამიზნე ცნებები/გრძევადიანი მიზნები. მაგ, მე- 8 კლასის ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი ბუნების დავალება, სადაც მოსწავლეს უწევს ექსპერიმენტი ჩაატაროს და დააკვირდეს როგორ მოქმედებს გარემო პირობები საფაუარა სოკოებისგამრავლების პროცესზე- აღნიშნული დავალება მიემართე სამიზნე ცნებებს- სასიცხოცხლო თვისება, სტრუქტურა და

	ფუნქცია. ეს დავალება ასევე იძელვა საშუალებას მოსწავლეებმა განივითარონ კვლევითი უნარ-ჩვევებიც. **რჩევა** - ყველა კლასისთვის საბაზო და საშუალო საფეხურზე, სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი დაიგეგმოს ზუსტად საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს შემდეგს- კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს არა სახელმძღვანელოს არამედ საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კურიკულუმში გაწერილია შუალედური მიზნები იძლევა შესაძლებლობას შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. ***რჩევა:*** სასურველია ყველა საფეხურზე, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მეტი პროექტული ტიპის დავალებების დაგეგმვა, რომლის შედეგადაც მოსწავლეები შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში მოქნილად მუშაობენ, რათა რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გაამდიდრონ სასწავლო პროცესი. მაგალითად, ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაწერილი აქტივობები იძლევა როგორც ეროვნული მიზნების შესრულების, ისე ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას, რასაც უფრო მეტად გაამდიდრებენ და გამოიყენებენ სასწავლო პრაქტიკაში. სკოლის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით დაწყებული, შეფასების სისტემით დამთავრებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციური განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,

	კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **რჩევა**-სასურველია, სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას შემოქმედებითი ბუნების/კომპლექსური დავალებების პირობა იყოს მკაფიო, მოსწავლეებისათვის სწორად აღქმადი და გასაგები, ხოლო საკითხი სწორად ფორმულირებული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დაიხვეწოს კურიკულუმები, მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მოკლევადიანი სასწავლო მიზნები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხების ურთიერთმიმართება და საგნის მიზანი. კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ხორციელდება პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების როლი — ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ

	აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი შესწავლის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებითი** კლასების ბუნებისმეტყველების **კურიკულუმები** ძირითადად **დაგეგმილია** საგნობრივი **სტანდარტის** მიხედვით. თითოეული **თემის** ფარგლებში **მუშავდება** სტანდარტის **ყველა** შედეგი **და** სამიზნე ცნება. **მოსწავლეთა** შეფასებისა **და** მასწავლებლების **რეფლექსიის** ამსახველ **დოკუმენტებში** გრძელვადიანი **მიზნები** ეროვნული **სასწავლო** გეგმით **დადგენილი** ნორმების **შესაბამისად** არის **დაგეგმილი.** **რჩევა**- ყველა კლასისთვის დაწყებით საფეხურზე და არა მხოლოდ, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი დაიგეგმოს ზუსტად საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს შემდეგს - კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს არა სახელმძღვანელოს არამედ სტანდარტის მიხედვით. სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო** საგნების **კურიკულუმებში** გაწერილია ისეთი ტიპის **რესურსი** რაც **უზრუნველყოფს** საგნობრივი **კურიკულუმებით** **განსაზღვრული** **სწავლის** **შედეგების** **მიღწევას**. ელ.რესურსი, მულაჟები, პლაკატები, სამეცნიერო ლიტერატურა და ვირტუალური ლაბორატორია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ასევე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან ინტერნეტ საგანმანათლებლო რესურსებს, აუდიო და ვიდეო მასალებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ასევე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან ინტერნეტ საგანმანათლებლო რესურსებს, აუდიო და ვიდეო მასალებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური – შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. მასწავლებლები იყენებენ არსებულ რესურსებს შემოქმედებითად: აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და თემის შესაძლებლობებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტომასალა, ბუნებრივი მასალები და ინტერნეტრესურსები. მუსიკის მასწავლებელი თვითნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის მიზნების მიღწევას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება და სკოლაში არსებულ საკლასო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ***რჩევა:*** სასურველია, (სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე) რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო ფაილები, ფილმები, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას; წინა წლებისგან განსხვავებით სკოლას მიზნად აქვს დასახული აქტიურად გამოიყენოს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია და სწავლების პროცესში აქტიურად დანერგოს პროგრამა GeoGebra, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გეომეტრიის სწავლების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში, I-II კლასში სკოლა იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოს, დანარჩენ საგნებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის რესურსები. **ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გაწერილია ისეთი ტიპის რესურსები რაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

	რჩევა: სასურველია, დაწყებით საფეხურზე **კურიკულუმში ასახული** რესურსები გამრავალფეროვნდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილია ისეთი ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შესაბამისად აქტივობები, რომლებიც მოითხოვს დიფერნცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში მოცემულ რესურსებზე დაყრდნობით დგინდება, რომ მასწავლებელები ცდიოლობენ სასწავლო პროცესი იყოს უფრო მეტად ინკლუზიური და ხელი შეეწყოს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს გეგმა, თუ როგორ შეიძლება განაგრძოს მუშაობა სსსმ მოსწავლის სწავლის შემთხვევაში. ასევე მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი სტანდარტები, მათში გაწერილი შუალედური მიზნები გვაძლევს შესაძლებლობას ნათლად დავინახოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	მოწოდებულ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი დგინდება ინკლუზიურობის და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამ მრავალფეროვნებაზე მორგებულად გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს არ აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე

	მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, თუმცა, მათ იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება. მოსწავლეთა დიფერენციაციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. (მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე ამჯერად არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე). გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. თემების დაგეგმვაში ჩართულია მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. **რჩევა:** სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის, თუმცა სასურველია, სამივე საფეხურის ფარგლებში მომდევნო სასწავლო წლიდან შეფასება განახორციელდეს მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით და ქულობრივი შეფასება არ გამოიყენონ - როგორც ეს არის VI კლასის სადიაგნოსტიკო ტესტირების ანალიზის ფორმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ. რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას. ინტერვიუში პედაგოგებმა/პედაგოგმა აღნიშნეს/აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. მათ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, გაკვეთილზე აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში გათვალისწინებულია დავალებები სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის. სკოლაში დაწყებით საფეხურზე არ არის სსსმ მოსწავლე. შერჩეული სასწავლო რესურსები, თემები მიგვანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს. იზომება მოსწავლის პროგრესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების შესაფასებლად საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ, როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასებას. შეფასების რუბრიკები შეესაბამება საგნის სტანდარტით

	გათვალისწინებულ შეფასების ინდიკატორებსა და მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს რაც ხელს უწყობს შეფასება გახდეს უფრო სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ, როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები, (განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც) რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაც კიდევ უფრო სარწმუნო გახადა მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. ***რჩევა:*** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკა სამივე საფეხურის ფარგლებშ ზოგადია და არ მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში, ესთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობაზე და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისა, იყენებენ სხვა ეფექტურ შეფასების ფორმებსაც: კომენტარებს, თვითშეფასებას, თანატოლთა ურთიერთშეფასებასა და დაკვირვებას. ეს მეთოდები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რაში სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას

	— მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება არა შეფასებას "შეფასებისთვის", არამედ განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები, თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **რჩევა**-შეფასების რუბრიკების შექმნისას **სამივე საფეხურზე** გამოიკვეთოს მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან და საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ და შემაჯამებელ კომპონენტებს. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის

	გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა/მასწავლებელმა წარადგინეს/წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასები. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით სფეხურზე ყველა კლასში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას და შესაბამის რუბრიკებს. ხოლო მე-5 და მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების საგანში შედეგების შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობა, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სასურველია შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე

	ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. კათედრის სხდომის ოქმი;
5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
6. მასწავლებლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
7. გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები
8. მასწავლებლის რეფლექსია;
9. სამუშაო ბარათები;
10. კოლეგის უკუკავშირი კოლეგას;
11. გაკვეთილის გეგმა;
12. მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტის ფოტო მასალა;
13. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
14. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;
15. პროექტის გეგმა არაფორმალურ განათლებაში (საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი);
16. გაფორმებული მემორანდუმი;
17. რემედეაციის განხორციელების წესი;
18. სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
19. ინკლუზიური განათლების პროგრამა;
20. ინტერვიუს შედეგები;
21. თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ასევე მათ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლაში სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეები ახორციელებენ სწორედ იმ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რაც კურიკულუმებშია ასახული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალი ყველა საგნის სწავლება ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი (საგნობრივი სტანდარტები, შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნამუშევარი თავისი შეფასებით) ითვალისწინებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება, როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა წარმოადგენს იმ ტიპურ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში ესთეტიკურ კათედრას მხოლოდ ორი მასწავლებელი ჰყავს — მუსიკის და ხელოვნების. მიუხედავად ადამიანური და მატერიალური რესურსების სიმწირისა, სკოლამ შეძლო შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. 2024 წელს დაწყებული კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. განხილვებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფელ ხაშმში ძალიან ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს, ჭიანური, ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებელმა დაიწყო პროექტული ტიპის გაკვეთილების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო

	საზოგადოებაში. მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა მრავალფეროვან თემატიკაზე. სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, ხაშმის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ვაზისა და მეღვინეობის თემა; ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა.შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული კახური არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ მარნებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები, რომელთაგან ზოგიერთს ხელსაქმეში დიდი გამოცდილება აქვს და თავიანთი ცოდნას ბავშვებსაც გაუზიარებენ. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სასკოლო კურიკულუმი ფორმირდეს კონკრეტული სკოლის სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან და როგორ შეიძლება იგი გადაიქცდეს თემისა და სკოლის თანამშრომლობის ჭეშმარიტ არენად. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სწორედ ეს მიდგომა ქმნის ისეთი განათლების საფუძველს, რომელიც მკაფიოდ აირეკლავს ადგილობრივ რეალობას და ამავდროულად უზრუნველყოფს ეროვნული სტანდარტების დაცვას. **რჩევები:** ▪ **სასურველია,** სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. ▪ **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. ▪ სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები).

	▪ **სასურველია,** ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილები დაკავშირდეს მეღვინეობასთან, ადგილობრივ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან. ▪ **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. ▪ **სასურველია,** მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებით პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს, რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყებენ აქტიურ მუშაობას. ასევე, კურიკულუმში გაწერილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეიმუშავეს. კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტი კომპლექსური დავალების სახითაა წარმოდგენილი. ექსპერტის კითხვაზე, რამდენად შეძლებენ განახორციელონ წლის განმავლობაში, ოთხი ან ხუთი კომპლექსური დავალება, როგორც ეს მითითებულია მათ მიერ შექმნილ დოკუმენტში და ხომ არ სჯობს, ვინაიდან, პირველად ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს, აღნიშნული დოკუმენტი მოიყვანონ შესაბამისობაში საკუთარ და მოსწავლეთა გამოცდილებასა და შესაძლებლობებთან? პედაგოგებმა რჩევის გათვალისწინებით, კურიკულუმს გადახედეს, ჩაასწორეს და დასაწყისისთვის, წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება, როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი კარგად არის დაგეგმილი და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად — დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ისინი იყენებენ სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, და იყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე, კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

   სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა საჭიროებების და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება რაც სკოლას აძლევს საშუალებას მოქნილად მოახდინოს რეაგირება გამოკვეთილ საკითხებსა თუ საჭიროებებზე.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მისი გაცნობა ხდება მოსწავლეებისთვის წინასწარ და ფასდება საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს ***რჩევა:*** -***სამივე საფეხურის ფარგლებში სასურველია*** კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე. -***სამივე საფეხურზე სასურველია*** თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებაში. ***-დაწყებით საფეხურზე*** სასურველია განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს ***რჩევა:*** საურველია სამივე სფეხურის ფერგლებში: -კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე. -თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებაში. -განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება. -შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განვითარება/რემედიაციის გამოყენება.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მუსიკისა და ხელოვნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში საგნობრივი შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ მოსწავლის აკადემიური ცოდნის რაოდენობრივ აღრიცხვას – იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნული და შემოქმედებითი განვითარების წახალისებაში. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია: იქნება ეს მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით ფასდება, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. ხშირად გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ პროგრესის გაგებაში. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო, რაც ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაცია კათედრაზე აღნიშნეს, რომ არ ჰყავთ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლე, ამიტომაც განსაკუთრებული მიდგომების გამოყენების გამოცდილება ამ მიმართულებით არ აქვთ. პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავალება – ჯგუფური პროექტები, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევრები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, ჩანაწერთა დღიური. ეს ავითარებს თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს. **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. მუსიკისა და ხელოვნების შეფასების სისტემა ხაშმის საჯარო სკოლაში განვითარებაზე ორიენტირებული და მრავალფეროვანია. შეფასების

	სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევები:** **სასურველია სამივე საფეხურის ფარგლებში:** ▪ **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ▪ **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. ▪ **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია, კრიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება, ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იმავე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
მათემატიკა	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. გამოყენებულია მრავალმხრივი შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და პროგრესის სრულფასოვან ასახვას. შეფასება ასევე მოიცავს განმავითარებელ უკუკავშირს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას. კათედრის N1 ოქმში ასევე ასახულია, რომ პედაგოგები ყოველწლიურად მნიშნელოვან საკითხად განიხილავენ შეფასების ვალიდურობას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებლებს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რაზე ეფუძნება მათი შეფასება. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების ვერიფიკაციის წესი“. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების

პროცესის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. რეალურად ვერიფიკაცია მოსწავლის მიღწევის ანალიზია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სკოლას დირექცია და კათედრები აქტიურად მუშაობენ შეფასების სისტების შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. რის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების ვერიფიკაციის წესი“, აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ფაქტი ასევე დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები, შეფასების სისტემა;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. კათედრის ოქმი;
5. დიაგნოსტიკური წერის ნიმუში;
6. დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზი;
7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
8. კათედრის სამუშაო გეგმა;
9. მასწავლებლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
10. გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები
11. მასწავლებლის რეფლექსია;
12. სამუშაო ბარათები;

13. კოლეგათა ურთიერთდაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე; კოლეგის უკუკავშირი კოლეგას;
14. გაკვეთილის გეგმა;
15. მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტის ფოტო მასალა;
16. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
17. სასწავლო პრორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები;
18. -პროექტის გეგმა არაფორმალურ განათლებაში (საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი);
19. გაფორმებული მემორანდუმი;
20. სკოლის შეფასების ვერიფიკაციის წესი;
21. მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები;
22. თვითშეფასების კითხვარი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მასწავლებელები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც ასევე ასახულია და წინასწარაა გაწერილი საგნობრივ კურიკულუმებში.** სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების კარგად აღჭურვილი ლაბორატორია **რჩევა**-მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არის გამართული ლაბორატორია, მნიშვნელოვანია გამწოვი კარადის სისტემის მოწესრიგება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან საგანმანათლებლო ინტერნეტ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან საგანმანათლებლო ინტერნეტ რესურსებს. ***რჩევა:***

	სასურველია სამივე საფეხურზე საგნის კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მიეთითოს სასწავლო დამხმარე რესურსები შესაბამისი ბმულებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. **რჩევები:** **სამივე საფეხურის ფარგლებში:** **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები და ა.შ. ▪ **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. ▪ **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. ▪ **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები.

	▪ **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; ***რჩევა:*** სამივე საფეხურის ფარგლებში სასურველია, ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რომელ საკითხსაც სკოლა პრიორიტეტად მიიჩნევს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.** დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერტაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org; khanacademy და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმებით და გასაუბრებით იკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე, ბუნებიმეტყველების სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნვალყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით ელექტრონულ რესურსებს (პრეზენტაციები, ვიდეოფილმები). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სკოლა წინასწარ ამტკიცებს დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, რაც თავდაპირველად მოცემულია საგნობრი კურიკულუმებში, კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო რესურების ვალიდაციის უზრუნველყოფა ნათლად ჩანს წარმოდგენილ დოკუმტებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სასწავლო რესურების ვალიდაციის უზრუნველყოფა ნათლად ჩანს წარმოდგენილ დოკუმტებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური

	მასალები: – მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები, – ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები, – სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები, – სხვადასხვა დარგობრივი ელექტრონული რესურსები. მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. **რჩევები სამივე საფეხურზე:** ▪ მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ▪ **სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური ან არასანდო მასალის გამოყენება. ▪ **სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. ▪ დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. ხაშმის საჯარო სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო

	ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები შეირჩეს კათედრაზე ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევისა და გამოყენების პროცესი ვალიდაციის ეტაპს გადის. არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტებთან და ასაკობრივ თავისებურებებთან. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი აქტიკური ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. განსკუთრებით აქტიურად არის კურიკულუმებში განსაზღვრული ხანის აკადემიის, ტელესკოლის, იუთუბის და გეოგებრას ელექტრონული რესურსები დასახული მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს. ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**სკოლა წინასწარ ამტკიცებს დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, რაც თავდაპირველად მოცემულია საგნობრი კურიკულუმებში, კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.** კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. **რჩევა:** სასურველია რესურსები შეირჩეს კათედრაზე ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებულ მრავალფეროვან რესურს, მათ შორის ვირტუალურ ლაბორატორიებს, ინტერნეტ რესურსებს, პლაკატებს, მულაჟებს, სკოლის ლაბორატორიას, კვლევითი და ექსპერიმენტული დავალებების წარმართვისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, რომლებიც ზედმიწევნით პასუხობს სწავლის შედეგების უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, რომლებიც ზედმიწევნით პასუხობს სწავლის შედეგების უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით ფორტეპიანო, რიტმული აქტივობისთვის საჭირო ინსტრუმენტები: მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და საჭირო ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. **რჩევები სამივე საფეხურის ფარგლებში:** ▪ **სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. ▪ **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე.

	მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. ▪ **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ რესურსთა სრულყოფილი კომპლექტაციით, რომელიც ემთხვევა კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სკოლაში საგანმანათლებლო გარემო მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება რეკომენდებულ ზღვარს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებსა და ხარისხიან სასწავლო პროცესს. რესურსების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების რეალიზაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ ხელითაც ამზადებენ და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით მათაც ამზადებინებენ მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. ბუნებისმეტყველების სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებულ მრავალფეროვან რესურსს, მათ შორის ვირტუალურ ლაბორატორიებს, ინტერნეტ რესურსებს, პლაკატებს, მულაჟებს, სკოლის ლაბორატორიას, კვლევითი და ექსპერიმენტული დავალებების წარმართვისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სკოლის მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაციის და ოქმების მიხედვით, ასევე გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;

2. შეფასების რუბრიკები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. კათედრის ოქმი;
5. დიაგნოსტიკური წერის ნიმუში;
6. დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზი;
7. შეფასების სისტემა;
8. ინტეგრირებული გაკვეთილი;
9. მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
10. დირექტორის ანგარიში;
11. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
12. მასწავლებლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
13. გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
14. მასწავლებლის რეფლექსია;
15. სამუშაო ბარათები;
16. კოლეგათა ურთიერთდაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე; კოლეგის უკუკავშირი კოლეგას.
17. გაკვეთილის გეგმა;
18. მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტის ფოტო მასალა;
19. ციფრული ტრანფორმაციის გეგმა;
20. მასწავლებელთა სტატუსი/კვალიფიკაცია;
21. კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია;
22. პროექტის გეგმა არაფორმალურ განათლებაში (საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი);
23. გაფორმებული მემორანდუმი;
24. თემატური მატრიცა;
25. სკოლის შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
26. სკოლის თვითშეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის 2-25 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია, მონიტორინგის და შეფასების პროცესები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს მონიტორინგი, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ხორციელდება თუ არა დაგეგმილი აქტივობები და როგორია მოსწავლეთა მიღწევები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 მარტის 2-25 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია, მონიტორინგის და შეფასების პროცესები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც ეხება კურიკულუმის ცვლილებას/სწავლების დიფერენცირებული მეთოდების გამოყენებას და სხვა. აღნიშნული გათვალისწინებით მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს გადაჭრის გზას და საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასების/დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები და/ან ინფორმაცია კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება არა დასჯის,რამედ საზოგადოების მხარდასაჭერად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებითა და სკოლაში სხვადასხვა რგოლის ჩართულობით. გაკვეთილებზე დასწრება, კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასების ნაწილია. აღნიშნულის გათვლისწინებით, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   შეფასებისას გათვალისწინებულია საგნის თავისებურებები, კურიკულუმში ასახული დავალებები, მოსწავლეთა საჭიროებები და სხვ. შესაბამისად შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც შემაჯამებელი ტიპის დავალებები (ტესტი, კვევის ანგარიშის წარმოება, პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა თემაზე და ა.შ) ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების დროს განხორციელებული საკვანძო აქტივობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეფასებისად გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ის შიდა და გარე ფაქოტრები რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სწავლების პროცესზე. აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმები;
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზეც მზაობა დაადასტურეს პედაგოგებმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრის ოქმი;
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. შეფასების სისტემა;
5. ინტერვიუს შედეგები;
6. სკოლის თვითშეფასება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 07.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) –

ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი) -

ქეთევან კიპაროიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) -

ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) -

ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) -

მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).